ეწვიეთ ვებ-ბვეჰდს და იკითხეთ ახალი ამბები

18 იანვარი, 2016 N8

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

ყოველკვირეული ოჰენოვანი ბაზეთი საქართველოში

WEEKLY BILINGUAL NEWSPAPER IN GEORGIA

ევროსაბჭოს ახალი ანგარიში საქართველოს ეთნიკური უმცირესობების პრობლემებზე მიუთითებს

გვ. 3

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ანტიდისკრიმინაციულ კანონში შესული უფლებებისა და სტანდარტების გარანტირება დაბალ დონზე რჩება. ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობად ამ კანონის აღსრულების პროცესში გამოყოფილია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. ნათქვამია, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ყოველთვის არ გამოირჩევა უმცირესობების მიმართ შემწყნარებლობით. ეთნიკური უმცირესობების უფლებები ირღვევა იმგვარ ცნებებზე აპელირებით, როგორიცაა „ნადვილი ქრისტიანი ქართველი". პრობლემაა ისიც, რომ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს" დაარსება გაკრიტიკებული იყო მოსახლეობის ნაწილის მხრიდანაც.

თბილისის მეჰია სენტჰალუჰი ველობილიჯის მოწყობას ბებმავს

EXCLUSIVE გვ. 8

უკვე მზად არის მდინარე ვერეს ხეობის სივრცით ტერიტორიული განვითარების კონცეფცია. კონცეფციის თანახმად, მდინარე ვერეს ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანმანათლებლო ცენტრის, სპორტული კომპლექსის, ტყე-პარკის, ველოტრასებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა იგეგმება. გეგმის თანახმად, მდინარე ვერეს ხეობაში საგანმანათლებლო ცენტრი 20 000 მ2 ტერიტორიაზე მოეწყობა და მასში საკონფერენციო-სასემინარო დარბაზები, არაფორმალური სამეცადინო სივრცეები, ბიბლიოთეკა და სტუდენტური სასადილო განთავსდება. კონცეფციით გათვალისწინებულ სპორტულ კომპლექს „მზიურის" ტერიტორიაზე დაგეგმილია საცურაო აუზის, მინი ფეხბურთის, იოგას დარბაზისა და სხვა სპორტული ცენტრების განთავსება.

ვინ შეიძლება იღბეს სტამბულის ტერაქტის უჯან? გვ. 4

აფხაზეთის და ფაქტო ხელისუფლება ჩუსეთის სანქციებს ამყარებს გვ. 6

ჩატომ ესემა ნავთობის ფასები და ჩა ბავლენა ექნება მას საქართველოზე გვ. 7

ნინო ანანიაშვილი დასთან ერთად უფრო ჩთული ბალეტის დაღბმას ბებმავს EXCLUSIVE გვ. 12

უმაღლეს სასწავლებლებში შესაძლოა მაღე ანტი-ჰლაგიატის პროგრამა დაინერგოს გვ. 14

შპს «აი-თი-ჯი» - მეტეხის ქ. 16, 0103, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995) 599 555 634; საიტი: WWW.ITG.GE

საქართველოში წარმოებული მინის პროდუქცია იტალიაში გადის

საქართველოში წარმოებული 13 სხვადასხვა დასახელების მინის პროდუქცია იტალიაში ექსპორტზე გადის. ამ მიზნით, ქსნის მინის ტარის ქარხანაში ჩამოსულია მსხვილი იტალიური კონცერნის „Societa di Santa Aerallba"-ის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ხარისხის კონტროლს აწარმოებს.

„ასოცირების ფარგლებში ჩვენ გაგვაჩნია თავისუფალი და ყოვლისმომცველი სავაჭრო რეჟიმი ევროპასთან. ეს სწორედ ის მაგალითია, რომლის შედეგსაც ჩვენ ველოდებით. კიდევ უფრო მეტ მეწარმეს ექნება შესაძლებლობა სათანადო ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საკუთარი პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე გაიტანოს," – აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ბოჭორიშვილმა.

საწყის ეტაპზე იტალიის ბაზარზე 25 მილიონი ბოთლი გავა, მომავალში კი ეს რიცხვი გაიზრდება. სს „მინის" პროდუქცია ექსპორტზე თურქეთსა და აზერბაიჯანშიც გადის. კომპანიაში კი ამჟამად 280 ადამიანი მუშაობს.

მთავრობა საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელის შემოღებაზე მოლაპარაკებებს მართავს

მთავრობამ საგადასახადო ლიბერალიზაციის კუთხით აქტიური მუშაობა დაიწყო. როგორც პრემიერმა დღევანდელ შეხვედრაზე აღნიშნა, ქვეყანაში საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელის დამკვიდრება განიხილება.

„საუბარია იმაზე, რომ მოგება, რომელიც შეიქმნება ეკონომიკაში, დაიბეგრება მხოლოდ მისი განაწილების, დივიდენდად გაცემის შემთხვევაში. ხოლო, თუ მოხდება მოგების რეინვესტირება, კომპანიები მოგების გადასახადს არ გადაიხდიან. ეს ხელს შეუწყობს საინვესტიციო რესურსის ადგილზე არსებული პოტენციალის მობილიზებას", – აღნიშნა პრემიერ - მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

გარკვეული კონსულტაციები ამ მიმართულებით საპარლამენტო გუნდთანაც მიმდინარეობს.

კანონპროექტი მთავრობას უახლოეს მომავალში წარედგინება, რის შემდეგაც პარლამენტში გაიგზავნება.

პროექტზე "დანერგე მომავალი" წელს 5 მილიონი ლარი დაიხარჯება

შიდა ქართლში 365 ჰექტარ მიწის ფართობზე ახალი ხეხილის ბაღები გაშენდება. 51 ბენეფიციარმა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „დანერგე მომავალი" ფარგლებში დაფინანსება უკვე მიიღო.

ახალი ხეხილის ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით პროგრამის ფარგლებში გაშენდა 835 ჰა, ხოლო დაფინანსების მოცულობა 4 მილიონ ლარს აღემატება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროგრამის „დანერგე მომავალი" განხორციელება 2015 წლიდან დაიწყო. 2016 წელს მასზე 5 მილიონი ლარი დაიხარჯება.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 1 000–1 200 ჰა-ზე თანამედროვე ტიპის ბაღისა და 30–40 ახალი, თანამედროვე სანერგე მეურნეობის მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტის ჩანაცვლებასა და საექპორტო პოტენციალის ზრდის პროცესს.

ევროსაბჭოს ახალი ანგარიში საქართველოს ეთნიკური უმცირესობების პრობლემებზე მიუთითებს

გიორგი ჩაფიძე (ბულგარეთი)

საქართველოში გახშირდა განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება დასიძულვილის ენის გამოყენება ეთნიკური უმცირესობების მიმართ - ნათქვამია ევროსაბჭოს უკანასკნელ დასკვნაში საქართველოს შესახებ, რომელიც 2016 წლის 13 იანვარს გამოქვეყნდა.

ანგარიში ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ნილს მუჟნიესკისა და ეროვნული უმცირესობების დაცვაზე მომუშავე მრჩეველთა კომიტეტის მიერაა მომზადებული და საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობას ეხება. მასში ნათქვამია, რომ ქვეყანამ გადადგა პოზიტიური ნაბიჯები უმცირესობების უფლებების გარანტირების მხრივ. ასევე პოზიტიურადაა შეფასებული 2014 წელს მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონის იმპლემენტაციის ზოგიერთი ასპექტი, თუმცა ევროსაბჭო ხაზს უსვამს იმ პრობლემატურ საკითხებს, რომლებზე მუშაობაც ქვეყნის მთავრობას მოუწევს.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ანტიდისკრიმინაციულ კანონში შესული უფლებებისა და სტანდარტების გარანტირება დაბალ დონეზე რჩება. ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობად ამ კანონის აღსრულების პროცესში გამოყოფილია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. ნათქვამია, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ყოველთვის არ გამოირჩევა უმცირესობების მიმართ შემწყნარებლობით. ეთნიკური უმცირესობების უფლებები ირღვევა იმგვარ ცნებებზე აპელირებით, როგორიცაა „ნამდვილი ქრისტიანი ქართველი“. პრობლემაა ისიც, რომ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“ დაარსება გაკრიტიკებული იყო მოსახლეობის ნაწილის მხრიდანაც. რამდენიმე ოფიციალური პირისა და საზოგადოების ნაწილის მხრიდან არის საუბარი იმაზე, რომ უმცირესობები (განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობები) სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის გამოწვევას წარმოადგენენ. ამგვარი სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული რიტორიკის გამოყენება არატოლერანტული გარემოს შექმნას უწყობს ხელს. აქვე მითითებულია მათ მიმართ პოლიციის დისკრიმინაციულ დამოკიდებულების რამდენიმე შემთხვევაზე, რაც გამოიხატება დემონსტრაციების დროს არაპროპორციული ძალის გამოყენებაში. ეს საკითხები კი სათანადოდ გამოძიებულიარ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოები ეთნიკურ უმცირესობებს დახმარებას უწევენ კულტურული აქტივობების განხორციელებაში, რაც გამოიხატება რამდენიმე გაზეთის მათ ენაზე დაბეჭდვაში, ეს ძალისხმევა მაინც არაა საკმარისი თანასწორობის გარანტირებისათვის. აგრეთვე, რამდენიმე ტელევიზია და რადიო პროგრამა, რაც უმცირესობათა ენაზე გადაიცემა დაბალი ხარისხისაა და ვერ იქცევს დიდ ყურადღებას. ქართულ ენაზე მაუწყებელ ტელევიზიათა 1 საათიანი ახალი ამბების პროგრამის შემოკლებული, 12-15 წუთიანი ვერსიის გაშუქება უმცირესობათა ენაზე თანასწორობას ვერ უზრუნველყოფს. ამიტომაც, ეთნიკური უმცირესობები საზღვრისპირა რეგიონებში უფრო ხშირად იყენებენ მეზობელი ქვეყნების მედია საშუალებებს. ეს ფაქტი გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე განსხვავებული აზრის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა, რაც საზიანოა საზოგადოებრივი ერთიანობისთვის. დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ განათლების მიღება სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე დაახლოვებით 300 სკოლაშია შესაძლებელი, თუმცა პრობლემად რჩება ის, რომ ამ სკოლებში განათლების დონე საშუალოზე დაბალია - რაც განპირობებულია იმით, რომ არ ხდება მასწავლებელთა ტრეინინგი მულტილინგვისტური საგანმანათლებლო გარემოს შესახებ და სწავლა მოძველებული სახელმძღვანელოებით წარმოებს. ამ სახელმძღვანელოებში კი ეთნიკური უმცირესობების კულტურა და იდენტობა არასაკმარისად ან სტერეოტიპულადაა წარმოდგენილი.

ევროსაბჭო რეკომენდაციას აძლევს საქართველოს მთავრობას, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის სტანდარტებისა და მისი აღსრულების მექანიზმების შესახებ აამაღლოს ცნობადობა საზოგადოებაში. განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობაში, რათა მათ მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ საკუთარი უფლებების გარანტირების შესახებ.

პრობლემადაა დასახელებული რამდენიმე ტელევიზიისა და ბეჭდური მედიის მხრიდან ისლამოფობიური გამონათქვამების გამოყენება, რომლებიც ქართველ მუსლიმებს „თურქებად“ მოიხსენიებენ. აგრეთვე არსებობს მასალები ეთნიკურ საფუძველზე წარმოქმნილ ძალადობრივ ქმედებებზე აზერბაიჯანელებისა და ქისტების მიმართ.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში კვლევის ჩატარებისას იქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მხრიდან სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემის არსებობა გამოიკვეთა. საქართველოს მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელი მიუთითებს, რომ ამ რეგიონში მაცხოვრებლები მიდრეკილნი არიან მოსაზღვრე ქვეყანაში განათლების მიღებისა და კარიერის განვითარებისთვის, რასაც საბჭო არ ეთანხმება და მთავრობას მათი ინტეგრაციის მისაღწევად მეტი მცდელობისკენ მოუწოდებს.

გარდა ამისა მომზადებულ ანგარიშში საბჭო აღნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობები არ არიან პროპორციულად წარმოდგენილნი სახელმწიფო ადმინისტრაციებში რეგიონულ დონეზე და მოუწოდებს მთავრობას, გადადგას საჭირო ნაბიჯები პოლიტიკურ და საკანონმდებლო დონეზე, რათა მოხდეს მათი მეტი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

რა ნაბიჯებს დგამს ქვეყნის მთავრობა ევროპის საბჭოს რეკომენდაციების გასათვალისწინებლად? საქართველოს მთავრობამ აღნიშნულ დასკვნაში გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრას რამდენიმე ახალი საკანონმდებლო აქტისა და პოლიტიკური დოკუმენტის მეშვეობით იმედოვნებს. პირველ რიგში ესაა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა „2015-2020“. მასში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ეთნიკური თანასწორობის გარანტირებას, მათ მონაწილეობას სამოქალაქო ცხოვრების ყველა ასპექტში, მათი კულტურისა და იდენტობის დაცვას. მთავრობის განცხადებით, ეს აქტი განხილული და კორექტირებული იქნა „ეროვნული უმცირესობების საბჭოს", ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების, ეთნიკური უმცირესობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლე-ბის მიერ.

საქართველომ 2015 წელს მიიღო „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია, რომ უნდა მოხდეს „ეროვნული უმცირესობების“ ენების გამოყენება ადმინისტრაციულ სექტორში იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მათი წარმომადგენლობა მაღალია.

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა 2015-2020“ ყურადღებას ამახვილებს ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტურ იმპლემენტაციაზე, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების მიმართ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო კი აპირებს ამ რეგიონებში ჩაატაროს ტრენინგები ანტიდისკრიმინაციული კანონის შინაარსისა და აღსრულების მექანიზმების შესახებ.

გარდა ამისა, მთავრობა გეგმავს, განახორციელოს მიზანმიმართული ქმედებებიეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის დონის ასამაღლებლად შესაბამისი მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ ორგანოებში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აპირებს, განახორციელოს სტაჟირების პროგრამა ეროვნული უმცირესობებისათვის საზოგადოებრივ ცენტებში, რომლებიც უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მდებარეობს, რათა მოხდეს მათი მეტი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ლოკალურ დონეზე. ეს პროგრამა 2016-2017 წლებისთვისა დაგეგმილი. იქნება თუ არა საკმარისი ქვეყნის მთავრობის მიერ შემუშავებული სტრატეგია ეთნიკური უმცირესობების სრული სამოქალაქო ინტეგრაციის მისაღწევად ევროსაბჭოს შემდეგ დასკვნაში გახდება ცნობილი.



ვინ შეიძლება იდგეს სტამბულის ტერაქტის უკან?

სოფიო ნჯარიანაშვილი (თურქეთი)



თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ სტამბულის ტურისტულ ცენტრში, სულთანაჰმეტის მოედანზე 2016 წლის 12 იანვარს თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. აფეთქების შედეგად 10 ადამიანი გარდაიცვალა და 15 დაშავდა. მათი უმრავლესობა გერმანიის მოქალაქე იყო. მომხდარიდან მალევე თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის მხრიდან გაკეთდა განცხადება, რომ ტერორისტი საუდის არაბეთში დაბადებული, სირიის მოქალაქე 28 წლის ნაბილ ფადლი, დაეშის (ისლამური სახელმწიფო) წევრი იყო.

მომხდარიდან დაახლოებით ერთ საათში ცნობილი გახდა რომ, აფეთქების კადრების ყველა ფორმით გავრცელება აიკრძალა. ეს აკრძალვა ოფიციალურ ტექსტში ახსნილია ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით.

დაეშმა საფრანგეთში, გერმანიაში, ეგვიპტეში, იემენში, ტუნისში, ამერიკაში, ინგლისში და ბევრ სხვა ქვეყანაში ტერორისტული აქტები განახორციელა. თუმცა მათ შორის ყველაზე სისხლიანი საფრანგეთსა და თურქეთში იყო. თურქეთის შემთხვევაში ეს ყოველივე 2013 წლის მაისიდან ჰათაის რეგიონში განხორციელებული დაბომბვით იწყება; შემდგომი 2014 წლის მარტში აფეთქება მოხდა ნიღდეს რეგიონში; ამავე წლის ივნისი - მოსულში თურქეთის საკონსულოზე თავდასხმა; 2015 წლის იანვარი სულთანაჰმედის მოედანი; მაისი - ადანა და მერსინი; ივნისი - დიარბაქირში თავდასხმა; ივლისი - სურუჩის რეგიონში უამრავი ადამიანი იქნა მოკლული და ბოლოს 2016 წლის 12 იანვარი ისევ სულთანაჰმეტის მოედანი და 10-მდე გარდაცვლილი ტურისტი.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სამიზნე იყო როგორც თურქეთის სახელმწიფო აგრეთვე გერმანია. ერთი აფეთქებით „დასჯილი და გაფრთხილებული“ იქნა ორი სახელმწიფო. ერთგვარად „ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერის“ პრინციპს ვხედავთ სტამბულში მომხდარ აფეთქებაში, თურქეთისა და ევროპის კიდევ ერთხელ გაფრთხილება და შეშინება.

თურქეთი დაეშის წინააღმდეგ კოალიციაში შესვლით და ჩრდილოეთ სირიაში ომში ჩაბმით მათი მხრიდან სამიზნე ქვეყანა გახდა და ეს ერთგვარად შურისძიების ერთ-ერთი გამოხატულებაა.

სტამბულში განხორციელებული თავდასხმა არის დიარბაქირის, სურუჩის და ანკარის მოვლენების გაგრძელება. მაგრამ ხელწერა განსხვავებულია, რაც შეიძლება აფეთქებების განხვავებულ მიზეზებს მივაწეროთ ან სხვადასხვა ქვეყნების და ორგანიზაციების ინტერესებს. თუ სტამბულის ტერაქტი დაეშის ინტერესების გატარებას ემსახურება, მაშინ ის შეიძლება შეფასდეს როგორც ისლამური სახელმწიფოს მიერ ოფიციალური ანკარის და ევროპის გაფრთხილება. ანკარაში კი მოსახლეობის დიდი მსხვერპლით შიდა არეულობისა და პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამოწვევა უმთავრეს მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ.

მაგრამ თუ აფეთქების ავტორი დაეში არ არის, მაშინ ის შეიძლება სხვა სახელმწიფოების ან ორგანიზაციების ინტერესებით იყო განპირობებული. თურქული პრესა იხსენებს გასულ წელს იმავე ადგილზე მომხდარ ტერორისტულ აფეთქებას, რომელსაც პოლიციელი ემსხვერპლა. აღნიშნული აქტი კი რუსეთის მოქალაქის დიანა რამაზოვას მიერ იქნა განხორციელებული. გასულ კვირას კი სტამბოლში ტერორიზმთან კავშირში ეჭვმიტანილი რუსეთის სამი მოქალაქე დააკავეს. როგორც “ბიბისი” ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით იტყობინება, ყველა მათგანი სავარაუდოდ, “ისლამურ სახელმწიფოსთანაა” კავშირში.

რუსეთის ფედერაცია მომხდარზე შეშფოთებას გამოთქვამს და მსოფლიოს ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარებისკენ მოუწოდებს. „ცინიკური დანაშაული... კიდევ ერთხელ არაჰუმანურ და მიგვანიშნებს დაუნდობელ საერთაშორისო ტერორიზმზე“, ნათქვამია განცხადებაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ რუსი ეჭვმიტანილები, კონკრეტულად რუსეთის ბრალეულობა არ იკვეთება, თუმცა საინტერესოა, რომ აღნიშნული ტერაქტი ყველაზე მეტად ხელს აძლევს რუსეთს. იმ „ცივი ომის“ შემდეგ, რომელიც რუსეთ თურქეთს შორის დაახლოებით ერთი თვეა მიმდინარეობს, სხვადასხვა ეკონომიკური სანქციებით, აღნიშნული აქტი ყველაზე მეტად დააზარალებს თურქეთს ტურისტული კუთხით.

თურქეთის რესპუბლიკაში კულტურისა და ტურიზმის მინისტრიც მომხდარს სტრატეგიულ და ტაქტიკურ დარტყმად აფასებს. აფეთქებიდან მოკლე ხანში ანგელა მერკელმა გერმანიის მოქალაქეებს მოუწოდა, რომ თავი შეიკავონ თურქეთის რესპუბლიკაში ვიზიტისაგან, რაც ძალიან დიდი დარტყმა იქნება სახელმწიფოსთვის ტურისტული კუთხით, რადგან თურქეთში ტურისტების უმეტესობას ბოლო დროს რუსეთის ფედერაციისა და გერმანიის ფედერაციის მოქალაქეები შეადგენდნენ. 2014 წლის მონაცემებით თურქეთის რესპუბლიკას სულ 23,6 მილიონი ტურისტი ეწვია, აქედან ყველაზე მეტი სწორედ გერმანიიდან 21,5% (5,1 მილიონი) და რუსეთიდან 15,6% (3,7 მილიონი) სტუმრობდა.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მიხედვით, სტამბულში მომხდარი აფეთქება შესაძლოა კავშირში იყოს „ქურთისტანის მუშათა პარტიასთან“ (პკკ), რომელთაც უკვე აღიარეს თავისი ბრალეულობა თურქეთის ქალაქ სინარში შაბათს მოხდარ აფეთქებაში. ტერაქტს ემსხვერპლნენ უდანაშაულო მოქალაქეები, ერთი პოლიციელი და სამი მცირეწლოვანი ბავშვი.

„ჩვენი მიზანი არ არის უდანაშაულო მოსახლეობაზე იერიშის მიტანა, ჩვენ გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას მომხდარის გამო“, ნათქვამია პკკ-ს განცხადებაში, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ტერაქტები თურქული ძალოვანების წინააღმდეგ გაგრძელდება. მართალია პკკ მოძლიერდა სირიაში დაეშთან ერთად მოქმედებდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სტამბულის ტერაქტის მსხვერპლი ძირითადად ტურისტები იყვნენ ალბათ პკკ-ს როლი ამ კუთხით ნაკლებ სავარაუდოა.

დაახლოებით ბოლო ექვსი თვეა თურქეთის დიდ ქალაქებში ტერორი, სამხრეთ-აღმოსავლეთში ომი, ქვეყანაში კი ძალადობა ღრმავდება. თავად თურქეთის მთავრობა სტამბოლის ტერაქტში დაეშს ადანაშაულებს, აღიარებს სირიის მიმართ გატარებული პოლიტიკის არამართებულობას და ამბობს, რომ 2 მილიონი ლტოლვილის მიღება და გახსნილი საზღვარი ბუმერანგივით უკან უბრუნდებათ. ფაქტია თურქეთს უსაფრთხოების კუთხით ბევრი პრობლემა აქვს და გარკვეული მიმართულებით ალბათ რადიკალური პოლიტიკის გატარებას, მკაცრი ტონის შერბილება ჯობია. ამჟამად თურქეთისათვის უმნიშვნელოვანესია საზღვრების საიმედოდ დაცვა, ჯარის ჩაყენება და მათი მხრიდან მკაცრი კონტროლი. ამასთანავე სტაბილურობის შენარჩუნება და უარეს შემთხვევაში მსგავსი შემთხვევების აღკვეთა.



Tiflis PALACE

Palace of Hospitalily

Hotel "Tiflis Palace" Offers 7 Categories of Elegantly Designed, Comfortable Rooms from 18m² to 140m² with Picturesque Views of Old Tbilisi.
Everything to Ensure Luxury Comfort and the Best Rest for Our Dear Guests!

Conference & Banquet Services

Tiflis Palace Provides the Perfect Environment for Business Meetings as well as for a Truly Romantic Wedding in a Legendary Place with an Astonishing and Unforgettable Views.
Trust Your Business Event to Our Professionals!

3, Gorgasali Street, 0105, Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2 000 245 www.tiflispalace.ge

CUSHMAN & WAKEFIELD® | VERITAS BROWN

INDEPENDENTLY OWNED & OPERATED MEMBER OF THE CUSHMAN & WAKEFIELD ALLIANCE

რეგიონის რჩეული უძრავი ქონების საკონსულტაციო კომპანია

კვლევა
ვირტუალური ოფისები
უძრავი ქონების მართვა
უძრავი ქონების შეფასება
საინვესტიციო მომსახურება

ოფისები
60
ქვეყანაში
მსოფლიოს მასშტაბით

43,000
თანამშრომელი

$5
მილიარდი
დოლარის მოგება

$191
მილიარდი
დოლარის ტრანზაქცია

4.3
მილიარდი
კვ.ფუტი ქონება მართვაში

ელ-ფოსტა: info@veritasbrown.com; www.veritasbrown.com
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, X ბლოკი, VI სართული; ტ: +995 322 47 48 49

აფხაზეთს დე ფაქტო ხელისუფლება რუსეთის სანქციებს ამყარებს

ეკა ფხოველიშვილი (პოლონეთი)



აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება რუსეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს უერთდება. დე ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა არტურ მიქვაბიამ 11 იანვარს ხელი მოაწერა აღნიშნულ განკარგულებას. ზომების აღსრულების საკითხზე კი პასუხისმგებელი ვიცე პრემიერის პირველი მოადგილე შამილ აძიმბა და მოადგილე დმიტრი სერიკოვი იქნებიან.

აღნიშნულ ფაქტზე აფხაზეთის ე.წ. მთავრობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია საუბარი, რომლის თანახმად 20 იანვრისათვის სხვადასხვა დეპარტამენტებმა შემზღუდველი სია უნდა მოამზადონ. კერძოდ, ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის დე ფაქტო ხელისუფლება გარკვეულ თურქულ საქონელზე იმპორტსა და თურქული კომპანიების საქმიანობის შეზღუდვას გეგმავს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ასეთი გადაწყვეტილება ,,2014 წელს აფხაზეთ - რუსეთს შორის, სტრატეგიული პარტნიორობისა და მოკავშირეობის შესახებ ხელშეკრულების“ შესაბამისად გახდა მიღებული. განკარგულების თანახმად, ოკუპირებულ აფხაზეთში არ დაიშვებიან ორგანიზაციები, რომლებიც თურქეთის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან. აიკრძალება თურქული არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობა. გარდა ამისა, თურქული კომპანიები ვერც 2015-2017 წლის საინვესტიციო პროექტებში მიიღებენ მონაწლეობას.

რუსეთმა თურქეთის წინააღმდეგ სანქციები მას შემდეგ დააწესა, რაც 2015 წლის 24 ნოემბერს საჰაერო სივრცის დარღვევისათვის, თურქეთმა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი სუ-24 რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ ჩამოაგდო. ოფიციალური მოსკოვი თურქეთის საზღვრის დარღვევას უარყოფს. რუსეთის სანქციებით ორ ქვეყანას შორის შეწყვეტილია სამხედრო კონტაქტები და უვიზო მიმოსვლა ასევე, აკრძალულია თურქულ კომპანიების საქმიანობა რუსეთში. რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის განცხადებაში არაფერია ნათქვამი დაგეგმილ გაზსადენ ,,თურქეთის ნაკადთან“ ან თურქეთში აკუიუს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში რუსული მხარისგან შესაძლო ცვლილებების შესახებ.

თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი მჭიდრო ეკონომიკური და პოლტიკური პარტნიორია 1991 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო წრებრუნვა 15.4 %-ს შეადგენს. ამის პარალელურად თურქული კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ ოკუპირებულ აფხაზეთთან. რუსეთის შემდეგ თურქეთი აფხაზეთისათვის რიგით მეორე სავაჭრო პარტნიორია.

მიუხედავად იმისა, რომ 1996 წლიდან თურქეთი დსთ-ის სხვა ქვეყნებთან ერთად შეუერთდა ეკონომიკურ ემბარგოს აფხაზეთის წინააღმდეგ ვაჭრობა თურქეთსა და დე ფაქტო აფხაზეთს შორის საზღვაო მიმოსვლით მაინც ხორციელდება. 1999 წლიდან დღემდე საქართველოს სანაპრო დაცვამ 60-მდე გემი დააკავა, რომლებიც უკანონოდ კვეთდნენ საქართველოს საზღვაო სივრცეს აფხაზეთის მიმართულებით. თურქული მხარე აფხაზეთში გააქტიურებას კერძო ბიზნესის ინტერესით ხსნიდა.

შესაძლებელია ვიფიქროთ ისიც, რომ თურქეთში არსებული აფხაზური დიასპორა აქტიურად ლობირებდა აფხაზეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ოფიციალური ანკარა არ მალავს, რომ რეგიონში ლიდერად დამკვიდრება სურს. უდავოა, საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის გაზრდის სურვილი აქვს აფხაზეთშიც. უფრო მეტიც, ახალ ენერგო პროექტებს რუსეთსა და თურქეთს შორის კიდევ უფრო მეტად უნდა გაეღრმავებინა პარტნიორობა. თურქეთისათვის კი, აფხაზეთში რუსეთთან კონფორტაციის გარეშე ანგარიშგასაწევ ძალად თავის დამკვიდრება წარმოუდგენელია.

კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობის მიუხედავად, თურქეთი საკუთარ საქმიანობას აფხაზეთში საქართველოსთან შეუთანხმებლად ახორციელებს. თუმცა მის ქმედებას თავისი დადებითი მხარეებიც აქვს: იგი ხელს უწყობს დე ფაქტო აფხაზეთის ეკონომიკურ გაძლიერებას, ამცირებს რუსეთის გავლენას და ცდილობს თავი დაიმკვიდროს როგორც რუსეთის ალტერნატივამ.

ამასთან, აფხაზეთის მიერთება თურქეთის წინააღმდეგ სანქციებზე შესაძლებელია, ხელსაყრელი იყოს საქართველოსათვის. აღნიშნულ შემთხვევაში თურქული კომპანიები ვეღარ შეძლებენ საქმიანობას აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობის გვერდით ავლით. გარდა ამისა, თუ აფხაზეთს აღნიშნული პოლიტიკის შედეგად მიღებულ დანაკარგს რუსეთი არ აუნაზღაურებს, საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობამ შეიძლება წინა საფეხურზე გადაინაცვლოს და სხვა პრიორიტეტები დაისახოს.

რუსეთი, რომელიც აფხაზეთში მთავარი მოთამაშეა, კონკურენტის გაჩენას, რა თქმა უნდა, არ მიესალმება.

აღნიშნული მოსაზრების დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ თურქეთის წინააღმდეგ შეზღუდვების შემოღების შესახებ გადაწყვეტილება სოხუმში რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის ვადისლავ სურკოვის ვიზიტის შემდეგ მიიღეს.

საგულისხმოა ისიც, რომ ბოლო დროს რუსეთი ცდილობს, შეავიწროვოს თურქეთის ეკონომიკური აქტივობა აფხაზეთში. ამის კარგი მაგალითია თურქული კომპანიის გამოძევება ტყვარჩელის ქვანახშირის მომპოვებელი მაღაროდან.

რუსეთს ასევე აქვს მცდელობა, შეასუსტოს თურქეთის რელიგიური და საგანმანათლებლო აქტივობები ოკუპირებულ აფხაზეთში, რომლის ეკონომიკაც საგრძნობლად იზარალებს რუსეთის სანქციებთან მიერთებით.

აფხაზეთი თურქეთთან გაწყვეტილი ურთიერთობების შედეგად მიღებულ დანაკარგს, დიდი ალბათობით, რუსეთიდან წამოსული დახმარებით შეივსებს.

რუსეთ - თურქეთის დაპირისპირება პირდაპირ აისახება კავკასიაზე, რადგან ეს ორი ქვეყანა რეგიონში გავლენის გაძლიერებას ცდილობს. ასეთ მდგომარეობაში საქართველომ ფრთხილი დიპლომატია უნდა გაატაროს, კერძოდ, გააქტიუროს ურთიერთობა მეზობელ თურქეთთან, რომელსაც საქართველოს მსგავსად, არასახარბიელო ურთიერთობა აქვს ოფიციალურ მოსკოვთან.

აფხაზეთის მიერ დაწესებული სანქციების შემდეგ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ თურქეთმა მომავალში კვლავ განაგრძოს ჰუმანიტარული ურთიერთობების შენარჩუნება აფხაზეთთან, რაც გამოიწვევს დე-ფაქტო ხელისუფებასთან ხისტი დამოკიდებულების შენარჩუნებას და საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავებას.

რატომ ეცემა ნავთობის ფასები და რა გავლენა ექნება მას საქართველოზე

გურამ ფსქიალაძე (ბულგარეთი)

ნავთობის ფასების დაწევა მსოფლიო ბაზარზე კვლავ გრძელდება. "ბრენტის" მარკის ნავთობის ღირებულება ლონდონის ბირჟაზე 6.7 პროცენტით შემცირდა და ბარელზე 28,94 დოლარი შეადგინა. ამგვარი პრეცედენტი ბოლოს 2004 წლის თებერვალში დაფიქსირდა, როდესაც WTI (West Texas Intermediate)-ის მარკის ნავთობის ფასი 5,38%-ით გაიაფდა და ბარელზე 29.52-მდე დავიდა. 15 იანვრის მონაცემებით, ერთ უნცია ოქროდ შესაძლებელია 36 ბარელი ნავთობის ყიდვა, ბოლო ათი წლის განმავლობაში კი საშუალოდ 15 ბარელის შეძენა შეიძლებოდა.

ნავთობზე ფასების ვარდნა უარყოფითად აისახება აშშ-ის კომპანიებზე. ბოლო 15 თვის განმავლობაში ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე 70%-ით დაეცა, რაც ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანიების გაკოტრების რისკს ზრდის.

იურიდიული ფირმის, Haynes & Boone-ის ინფორმაციით, 30-ზე მეტი მცირე ამერიკული კომპანია გაკოტრდა და მათმა საერთო დავალიანებამ 13 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. საკონსალტინგო ფირმის, Cowen & Co-ს პროგნოზით კი, ამერიკულ კომპანიებს სანავთობო კრიზისის გამო 2014 წელთან შედარებით ბიუჯეტის შემცირება 51%-ით მოუწევთ.

„უოლ სთრით ჟურნალის“ ცნობით, თუ ერთი ბარელი ნავთობი 30 აშშ დოლარი ეღირება, 2017 წლისთვის ამერიკული ნავთობკორპორაციების დაახლოებით ერთი-მესამედი გაკოტრდება. „შავ ოქროზე“ ფასების მკვეთრ ვარდნას, რომელიც განსაკუთრებით გამძაფრდა გასული წლის დეკემბერში, რამდენიმე მიზეზი აქვს. ანალიტიკოსთა თქმით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შემცირებული მოთხოვნის ფონზე ნავთობის გადაჭარბებული მარაგები და მიწოდებაა. ფასების შემცირება ნავთობზე ჩინეთის წამყვან საფონდო ბირჟებზე ინდექსების ვარდნასაც უკავშირდება, რამაც სხვა ქვეყნებშიც პანიკა გამოიწვია, რადგან დღეს მსოფლიოში აშშ-ის შემდეგ ნავთობის სიდიდით მეორე მომხმარებელი ქვეყანა ჩინეთია. ის ნავთობის მსოფლიო მარაგის 12 პროცენტს მოიხმარს, თუმცა მისი მხრიდან მოთხოვნის შემცირებამ (Barclay-ს მიხედვით, გასულ წელს ის საშუალოდ ყოველდღე 510,000 ბარელ ნავთობს მოიხმარდა, ყველაზე პოზიტიური გათვლებით კი 2016 წელს მისი მოხმარება 300,000 ბარელით განისაზღვრება) ფასებზე გავლენა იქონია.

„ჩინეთი წლების განმავლობაში ნავთობის ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელი იყო და თუკი მას გამოვრიცხავთ, ცვლილებები საკმაოდ ნეგატიური იქნება“, - აღნიშნა აბჰიშეკ დეშპანდემ, „Natixis“-ს მთავარმა სანავთობო ანალიტიკოსმა. სანავთობო კრიზისის კიდევ უფრო გაუარესება ირანზე სანქციების მოხსნასაც უკავშირდება. დასავლეთსა და ირანს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ამ უკანასკნელმა მხოლოდ ე.წ. მშვიდობიანი ატომი უნდა განავითაროს. ირანს მართლაც მოუხსნეს სანქციები, მას დასავლეთში გაყინული აქტივები დაუბრუნდეს, რაც 50 მლრდ დოლარს შეადგენს და საშუალება ექნება, დღეში ექსპორტზე დამატებით 500 000 ბარელი ნავთობი გაიტანოს. ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ირანზე სანქციების მოხსნა მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის დაცემის გაგრძელებასაც გამოიწვევს, რაც საშუალებას მისცემს, თავისი წილი ნავთობი მსოფლიო ბაზარზე გამოიტანოს მაშინ, როცა ნავთობის მიწოდება მის მოთხოვნაზე მაღალია. გაერო-ს საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს განცხადებით, ირანისთვის სანქციების მოხსნის საკითხი განიხილა მას შემდეგ, რაც სააგენტომ წარადგინა ანგარიში იმის შესახებ, რომ ირანმა ნამდვილად შეასრულა ბირთვულ პროგრამაზე აღებული ვალდებულებები.

„ამჟამად ირანის ბაზარზე დაბრუნებისთვის ცუდი დროა შერჩეული და, შეიძლება ითქვას, თავად ირანისთვისაც“, - მიიჩნევს „Phillip Futures“-ის ანალიტიკოსი. ირანის მიმართ სანქციების მოიხსის შედეგად, სრულიად შესაძლებელია ერთ ბარელ ნავთობზე ფასი 20-25 დოლარამდე დავარდეს. მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიწოდების მოთხოვნაზე გადაჭარბების პარალელურად, მიწოდება - მოთხოვნას შორის კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა ჩინეთის მხრიდან მოთხოვნის შემცირებამ. ფასების ვარდნის კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორია აშშ-ის ჭარბი ნავთობის მარაგების არსებობა. ნედლ ნავთობზე ფასების შემცირების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი გამყარებული დოლარია, რაც პროდუქციაზე ფასებს ამცირებს. გამომდინარე იქიდან, რომ საქონლის ფასი მსოფლიო ბაზარზე, ძირითადად, დოლარებშია, ამერიკული ვალუტის გამყარების პირობებში მისი ფასი მცირდება. სკეპტიციზმის საბაბს ნავთობის ფასების კიდევ უფრო ვარდნაზე ისიც აღვივებს, რომ, ინდოეთისა და ჩინეთის გარდა, მოთხოვნის გაზრდა სხვა ქვეყნების მხრიდანაც არ ჩანს. ევროპა, სავარაუდოდ, 2015 წელთან შედარებით, ნავთობზე მოთხოვნას არ გაზრდის, მსგავსად აშშ-სა, რომელსაც საკუთარი მარაგიც საკმარისად აქვს. ახლო აღმოსავლეთში გასული წლისგან განსხვავებით (როცა საწვავის მოხმარება გაიზარდა), სავარაუდოდ მძღოლები საწვავის მოხმარებას შეამცირებენ, რადგან მთავრობამ ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ფასები გაზარდა. ამდენად, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მოთხოვნის გაზრდა არ იგეგმება. სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს OPEC-ის დამოკიდებულება, რომელიც ფასების სტაბილიზაციას თავის თავზე არ იღებს, ეს ყოველივე სიტუაციის დარეგულირებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ნავთობზე ფასების დაცემა გარკვეულწილად პოზიტიურად უნდა აისახოს საქართველოზე, რადგან ქვეყანა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტიორია და მისი უფრო დაბალ ფასში შეძენა ეკონომიკისთვის დადებით შე-

დეგებს მოიტანს. შემცირდება საწვავის ფასი, რაც ქვეყნიდან სავალუტო გადინების შეზღუდვას გამოიწვევს. თუმცა დოლარის გამყარების შემთხვევა ქართულ ვალუტაზე უარყოფითად აისახება.

საქართველო მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თავის ორ სავაჭრო პარტნიორ აზერბაიჯანსა და რუსეთზე, რომლებიც ნავთობის დიდი მწარმოებელი აქტორებია და ფასების შემცირებით გამოწვეული მდგომარეობა დადებითად მათზეც არ იმოქმედებს. მეზობელი ქვეყნებიდან ხორციელდება პირდაპირი ინვესტიციები, მთლიანი ფულადი გზავნილების დაახლოებით ნახევარზე მეტი რუსეთზე მოდის, ამასთან, ისინი ქართული საექსპორტო ბაზრის მნიშვნელოვანი მოთამაშეებიც არიან. შესაბამისად, თუ ნავთობის დაბალი ფასი რუსეთსა და აზერბაიჯანზე უარყოფითად იმოქმედებს, ეს საქართველოზეც სათანადოდ აისახება.

თბილისის მერია სენტრალური ვოლობილიკის მოწყობას გეგმავს

თამარ ჩაფიძე EXCLUSIVE

თბილისის ავტო-პარკი, მოუწესრიგებელი გზები, დედაქალაქში ჰაერის დაბინძურება და 13 ივნისის სტიქიით მიყენებული ზარალი- ეს ის სოციალური თემებია, რაზეც თბილისის მერი დავით ნარმანია „ობზერვერს“ ესაუბრა.

პირველ რიგში მინდა გკითხოთ თბილისის ავტო-პარკის განახლების შესახებ. ერთწლიანი ანგარიშის წარდგენისას განაცხადეთ, რომ იგეგმება ახალი ავტობუსების შემოყვანა, თუ შეგიძლიათ გვითხრათ როდის განხორციელდება აღნიშნული პროგრამა?

თბილისში მუნიციპალური ტრანსპორტის გამოცვლაზე აქტიურად ვმუშაობთ აპრილის თვიდან. ნაყოფიერად ვითანამშრომლეთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. ავტობუსების პარკის გამოცვლაში ჩვენ ფინანსურ მხარდაჭერას გაგვიწევს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD).

გაწერილი გვაქვს კონკრეტული გეგმა და ვფიქრობთ, რომ გეგმის მიხედვით ვიმოქმედებთ. უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში უშუალოდ არის ჩართული EBRD-ი და შესაბამისად, სამუშაოები მათ მიერ გაწერილი ტექნიკური პროცედურებით შესრულდება. ვფიქრობთ, რომ თბილისში ახალი ავტობუსები მიმდინარე წლის ზაფხულში შემოვა. პირველ ეტაპზე, საუბარია ბუნებრივ აირზე მომუშავე 150 ავტობუსის შემოყვანაზე. ამის პარალელურად ვმუშაობთ ახალი სამარშუტო სქემის შედგენაზეც, რაშიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დაგვეხმარება.

თბილისის გზებზე გართულებულია გადაადგილება, ერთი მხრივ, გზების რეაბილიტაციის გამო და მეორეს მხრივ, ავტომანქანების გადაჭარბებული მოძრაობით, როგორ აპირებს თბილისის მერია გზებზე მოძრაობის გადატვირთვას?

ჩვენს მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, თბილისში საცობების წარმოქმნის სამი მთავარი მიზეზი არსებობს: ეს არის მზარდი ავტოპარკი, მოუწესრიგებელი მძღოლები და ქვეითად მოსიარულეები. ამას ემატება თბილისში მიმდინარე გზების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რაც ასევე აფერხებს ტრანსპორტის გადაადგილებას. ჩვენ ვაპირებთ ისეთი ინფრასტრუქრული პროექტების განხორციელებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სატრანსპორტო კვანძების უფრო მეტი გამტარუნარიანობა. უკვე ძალაში შევიდა მთელი რიგი რეგულაციები, რაც მერიის კომპეტენციაში შედის. მაგალითად, დედაქალაქში შეიზღუდა პიკის საათებში დასუფთავების მანქანების გადაადგილება. დაგეგმილია საცობების აპლიკაციის დანერგვა, რაც მძღოლებს მეტი ინფორმირების საშუალებას მისცემს. ასევე ვფიქრობთ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარებას, რომ დედაქალაქში ტრანსპორტის მოძრაობა უფრო მოწესრიგებული გახდეს. როდესაც ბოლომდე დასრულდება ყველა სარეაბილიტაციო სამუშაო, რაც თბილისის სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობს, ესეც თავისთავად ხელს შეუწყობს დედაქალაქის ქუჩების განტვირთვას.

აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიცია ყოველდღიურ რეჟიმში, აქტიურად არის ჩართული მოძრაობის მოწესრიგებაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საცობების სიმწვავეს. ისიც უნდა ითქვას, რომ საცობები ყველა დიდი ქალაქის პრობლემაა და თბილისი ამ მხრივ გამონაკლისი ვერ იქნება. დედაქალაქში ყოველდღიურად 500 000-მდე ავტომობილი მოძრაობს და მათი რიცხვი მზარდია. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ დაგეგმილი ქმედებები ამ პრობლემას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს.

რაც შეეხება საგზაო და ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, აღსანიშნავია, რომ კაპიტალურად შეკეთდა თამარაშვილის, დადიანის, ახვლედიანის, გოგებაშვილის ქუჩები, თემქიდან თბილისის ზღვაზე ასასვლელი საავტომობილო კვანძი და თბილისის ზღვის შემოვლითი 12 კილომეტრიანი გზა. ქალაქის საცობებისგან განტვირთვის მიზნით დაგეგმილია: კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის მოწყობა, აეროპორტის ხიდიდან -ლოჭინის ხიდამდე გზის კაპიტალური შეკეთება, ასევე, კახეთის გზატკეცილის დაკავშირება თბილისის ზღვასთან. უკვე დავიწყეთ პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის მშენებლობა! ჩვენ ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ქალაქში მიმდინარე მსხვილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები გახლავთ სამომავლო პროექტები, რომელთა მეშვეობითაც თბილისი ძალიან მალე ინფრასტრუქტურული თვასაზრისით განვითარებულ და კეთილმოწყობილ ქალაქად იქცევა. როგორც თქვენთვის ცნობილია, თბილისს ძალიან მალე ექნება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.

ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნეთ, რომ გზების რეაბილიტაციის შეფერხება გარკვეულწილად კონტრაქტორი კომპანიების არასათანადო მუშაობამ გამოიწვია, რა მდგომარეობაა ამჟამად აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში?

იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეული კომპანიების მხრიდან შეიქმნა პრობლემები, თუმცა აღნიშნული კომპანიები დაჯარიმდნენ, პრობლემა აღმოფხვრილია და დღეს ქალაქში ეს საკითხი არ დგას.

საზოგადოებას აღელვებს ქუჩებში დახმარების მთხოვნელი უსახლკარო ადამიანების ბედი, რას აკეთებს თბილისის მერია აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად?

2015 წელს ჩვენ შევძელით და მნიშვნელოვნად გავზარდეთ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები. დაიწყო სოციალური მომსახურების 4 ახალი პროგრამის განხორციელება, მათ შორის: 500-მდე სოციალურად დაუცველმა ოჯახმა ისარგებლა ახალშობილებისთვის ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარების პროგრამით, 18 წლამდე ასაკის შშმ პირების დახმარების პროგრამით ისარგებლა დაახლოებით 850-მა ბენეფიციარმა.

ასევე აღსანიშნავია „კომუნალური სუბსიდიის“ პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი 38 000 ოჯახისთვის დაიხარჯა 19 მილიონი ლარი, ნაცვლად 9,5 მილიონი ლარისა, როგორც ეს წინა წლებში იყო.

უსახლკაროთა პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა რეალური ნაბიჯები, მათ შორის - ლილოში აშენდა კაპიტალური ტიპის, 240 ბენეფიციარზე გათვლილი, უსახლკაროთა თავშესაფარი, დამეთანხმებით, რომ ეს მართლაც გააუმჯობესებს ამ ადამიანების საცხოვრებელ პირობებსა და გარემოს.

11 იანვარს პრემიერ-მინისტრთან ისაუბრეთ თბილისში ჰაერის დაბინძურების საკითხზეც, როგორ გეგმავთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას?

2010 წელს თბილისი მიუერთდა „მერების შეთანხმებას“ და ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქალაქებთან ერთად აიღო ნებაყოფლობითი ვალდებულება - შეამციროს ნახშირორჟანგის უარყოფითი გავლენა კლიმატზე განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების წახალისებისა და ენერგოეფექტურობის გაზრდის გზით.

აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად, ქალაქ თბილისის მერიამ მოამზადა „თბილისის ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა“, რომელიც მოიცავს ღონისძიებებს ტრანსპორტის, შენობების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა (გარე განათება, ნაგავსაყრელები) და მწვანე სივრცეების განვითარების სექტორებში. ამ გეგმის შესაბამისად, 2020 წლისათვის ქ. თბილისის ტერიტორიიდან ნახშირორჟანგის (CO_2-ის) ემისიები მინიმუმ 20%-ით უნდა შემცირდეს და ქალაქის მდგრადი განვითარების ფონზე თბილისი ეკოლოგიურად სუფთა, „მწვანე ქალაქად“ იქცეს.

რა სიახლეებია გამწვანების პროგრამასთან დაკავშირებით?

მნიშვნელოვანია, რომ ქალაქის ისტორიაში პირველად, ძალაში შევიდა თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია. ამასთან, თბილისში 2,5 მლნ კვ.მ-მდე სხვადასხვა ტერიტორიას სარეკრეაციო ზონის სტატუსი მიენიჭა. წლის განმავლობაში, ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა გამწვანების ღონისძიებები. დასრულდა 130 სკვერისა და ბაღის მოწყობა-რეაბილიტაცია, მიმდინარეობს 101 სკვერისა და ბაღის მოწყობა.

ბოლოს, მაინტერესებს, რა ბედი ეწევა 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულ თბილისის მზიურსა და ზოოპარკს , რა სიახლეებია ამ მხრივ?

უკვე მზად არის მდინარე ვერეს ხეობის სივრცით ტერიტორიული განვითარების კონცეფცია. კონცეფციის თანახმად, მდინარე ვერეს ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანმანათლებლო ცენტრის, სპორტული კომპლექსის, ტყე-პარკის, ველოტრასებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა იგეგმება. გეგმის თანახმად, მდინარე ვერეს ხეობაში საგანმანათლებლო ცენტრი 20 000 მ2 ტერიტორიაზე მოეწყობა და მასში საკონფერენციო-სასემინარო დარბაზები, არაფორმალური სამეცადინო სივრცეები, ბიბლიოთეკა და სტუდენტური სასადილო განთავსდება. კონცეფციით გათვალისწინებულ სპორტულ კომპლექს „მზიურის“ ტერიტორიაზე დაგეგმილია სავარჯიშო დარბაზის, საცურაო აუზის, მინი ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების, იოგას დარბაზისა და სხვა სპორტული ცენტრების განთავსება. ამასთან, ვერეს ხეობის ზედა ნაწილში მოეწყობა ინფრასტრუქტრა ექსტრემალური სპორტისთვის, მათ შორის, სალაშქრო ბილიკები, სამთო ველოსიპედის ტრასები, კლდეზე ცოცვის ადგილები, საფეხმავლო ხიდები და სხვა.

გეგმა ცენტრალური ველობილიკის მოწყობასაც ითვალისწინებს, რომელიც გმირთა მოედნიდან დაიწყება და თსუ-ს მაღლივ კორპუსთან დასრულდება, შესაბამისად, აღნიშნული გზა ერთმანეთთან თბილისის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების უდიდეს ნაწილს დააკავშირებს. იმ შემთხვევაში, თუ გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელის ველობილიკის ადაპტაციაც მოხდება, მარტივად იქნება შესაძლებელი საპროექტო ტერიტორიის დაკავშირება გმირთა მოედანზე შემავალ ყველა ქუჩასთან. ასევე, შესაძლებელი იქნება გმირთა მოედნის მარჯვენა სანაპიროსთან დაკავშირებაც.

წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად, 300 000 m^2 ტერიტორიაზე მოეწყობა ტყე-პარკი, ზოოპარკისა და მზიურის ტერიტორიები კი ერთმანეთს ორი „მწვანე ხიდის“ საშუალებით დაუკავშირდება. ამასთან, ზოოპარკის ტერიტორიაზე გაჩნდება მდინარე ვერეს მცირე განშტოება და პატარა ზომის ტბები, რომლებიც, ერთის მხრივ, შექმნიან შესაბამის გარემოს პარკისათვის, მეორეს მხრივ კი, შეასრულებენ ერთგვარი რეზერვუარის ფუნქციას. კონცეფცია პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე საავტომობილო მაგისტრალის გაყოლებაზე დამცავი ზოლის მოწყობას ითვალისწინებს და ასევე მოიცავს კონკრეტული ქალაქგეგმარებითი და საინჟინრო-გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარების შესახებ ხედვასა და რეკომენდაციებსაც. ვერეს ხეობის განვითარების კონცეფციაში 13 ივნისის მოვლენისადმი მიძღვნილი სიმბოლოს შესაძლო განთავსებისთვის ტერიტორიაც არის განსაზღვრული, რომელიც ხეობის თითქმის ყველა წერტილიდან იქნება აღქმადი.

სახელმწიფო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საბანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მიმართ მზრუნველობას აძლიერებს

ეთერ შარაძე

ამიერიდან სახელმწიფო შშმ და სსსმ პირებს დასაქმებაში დაეხმარება. ახალი სერვისის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმების სამსახური შეიქმნა. აღნიშნული სამსახური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა შესაძლებლობების განსაზღვრას, დამსაქმებელთა მოძიებას, პირთა შრომით მომზადებასა და სამუშაო გარემოსთან ადაპტირებას უზრუნველყოფს. ეს ყველაფერი კი კონსულტანტთა ჯგუფის დახმარებით უნდა განხორციელდეს, რომლის დაკომპლექტებაც ჯერ არ დასრულებულა.

მხარდაჭერითი დასაქმების სერვისის დანერგვა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით დაიწყო. ამის შესახებ საზოგადოებას ჯანდაცვისა და განათლების მინისტრების მოადგილეებმა 13 იანვარს აცნობეს. დასაქმების სამსახურში იმუშავებს კონსულტანტთა ჯგუფი, რომელიც ჯერ დაკომპლექტებული არ არის. ამჟამად მხარდაჭერითი დასაქმების ერთი კოორდინატორისა და 10 კონსულტანტის შერჩევის მიზნით გასაუბრება მიმდინარეობს 11 ადამიანთან. ისინი შშმ და სსსმ პირებს პოტენციურ დამსაქმებლებს დააკავშირებენ და დასაქმებაში დაეხმარებიან.

კონსულტანტებს ევროპელი ექსპერტების დახმარებით მოამზადებენ, მათი კვალიფიკაციის ამაღლება კი შესაბამისი გამოცდილების ქვეყნებში მოხდება. "პროექტის მთავარი მიზანი გახლავთ დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების გააქტიურება შრომის ბაზარზე, პირველ რიგში მოვიაზრებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. სამინისტრო სოციალური მომსახურების სააგენტოს მეშვეობით ერთვება ამ პროცესში და ჩვენი ამოცანა გახლავთ თბილისსა და ყველა რეგიონულ სერვის ცენტრში გვყავდეს თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ იმუშავებს ამ ჯგუფებთან. მათი მთავარი ამოცანა იქნება შეისწავლონ და კონსულტაციები გაუწიონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, განსაზღვრონ მათი უნარები თუ რამდენად მზად არიან ისინი უკვე არსებული შესაძლებლობებით ჩაერთონ ამ პორცესში. გარდა ამისა, დაკავშირონ ეს მოქალაქეები დამსაქმებელთან, ააწყონ ნორმალური კომუნიკაცია და ამის შემდეგ უკვე საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შერჩეულ პირთა გადამზადება, რათა მათ კომფორტულად იგრძნონ თავი არსებულ სამუშაო გარემოში", -განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ზაზა სოფრომაძემ.

შშმ და სსსმ პირებისათვის ასეთი სერვისების არსებობა და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა უაღრესად მნიშვნელოვანია. ხშირ შემთხვევაში ისინი კარჩაკეტილად ცხოვრობენ, საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებული განწყობა და დამოკიდებულება უზღუდავს გარესამყაროსთან კავშირის სურვილსა თუ შესაძლებლობებს.

სახელმწიფოს მხრიდან გააქტიურებით კი, მათ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოხდება. გარემოსთან ადაპტირება და პიროვნული თუ პროფესიული განვითარების საშუალების მიცემა, საზოგადოებაში მათ ინტეგრირებას შეუწყობს ხელს.

ვიდრე საქმე დასაქმებამდე მივა, განათლების მიღებაა საჭირო. შშმ და სსსმ პირებს ამისათვის სპეციალური გარემო და პირობები ესაჭიროებათ.

განათლების მინისტრის მოადგილის, ქეთევან ნატრიაშვილის განცხადებით, საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვა 2013 წლიდან დაიწყო და დღემდე პროფესიულ სასწავლებლებში 426 პირი ჩაირიცხა. აქედან დაახლოებით 40 პროცენტს უკვე დამთავრებული აქვს განათლების მიღება. თუმცა მათგან მხოლოდ 31 პირი მუშაობს. შესაბამისად, გაჩნდა შემდგომ დასაქმებაში მათი ხელშეწყობის საჭიროება.

დასაქმებამდე და პროფესიული განათლების მიღებამდე სასკოლო განათლების საჭიროებაც დგას. შშმ და სსსმ პირებზე მორგებული სკოლების ნაკლებობა დაგადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულეები კიდევ ერთი პრობლემაა. ცვლილებები ამ მიმართულებითაც შეინიშნება. გასული წლის დეკემბერში დედაქალაქის მერიის მხარდაჭერით „ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის" პროგრამის ფარგლებში თბილისის 4 სკოლას ორი ადაპტირებული მიკროავტობუსი გადაეცა, რომლებიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებს მოემსახურება.

მიმდინარე წლის განმავლობაში კიდევ 6 ასეთი მიკროავტობუსის გამოყოფა და გეოგრაფიული არეალის გაზრდა იგეგმება. დედაქალაქის მერის განცხადებით მუნიციპალური შენობა-ნაგებობებისა და სივრცეების ადაპტირებისთვის მომდევნო 3 წლის მანძილზე მილიონობით ლარი დაიხარჯება. "თბილისის მთავრობის სხდომაზე დავამტკიცეთ მუნიციპალური შენობა-ნაგებობებისა და სივრცეების ადაპტირების 3 წლიანი პროგრამა, რომლის შესაბამისადაც ყველა მუნიციპალური შენობა-ნაგებობა და ძირითადი სივრცე იქნება ადაპტირებული. ამ მიმართულებით 3 წლის განმავლობაში 14 000 000 ლარი დაიხარჯება", -განაცხადა დავით ნარმანიამ.

სიახლეებია სხვა მიმართულებითაც. მოხდება ორი - ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე ბავშვთა სახლისა და კოჯრის შშმ ბავშვთა სახლის ეტაპობრივი დეინსტიტუციონალიზაცია. იქ მცხოვრები ბავშვები კი ალტერნატიულ, მცირე ზომის საოჯახო სახლებში განთავსდებიან. ჯანდაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მზრუნველობამოკლებული, მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის, ალტერნატიული, მცირე ზომის მომსახურებები შეიქმნება.

სახელმწიფო შშმ პირებზე ზრუნვის მხრივ ბოლო წლებში აქტიურ ნაბიჯებს დგამს.

2014 წლის დასაწყისში მთავრობამ, შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლის სამთავრობო სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. გეგმის მიზანი აღნიშნულ პირთა სხვადასხვა მიმართულებით საზოგადოებაში სრული ინტეგრაციისთვის საჭირო პირობების მაქსიმალურად შექმნაა. სამთავრობო გეგმა ითვალისწინებს: დისკრიმინაციის აღმოფრხვას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შშმ პირთა ჩართულობას, სამართლებრივი ბაზის შესაბამისობაში მოყვანას საერთაშორისო სტანდარტებთან, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას, სსსმ პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ყველა საფეხურზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, შშმ პირთა დასაქმების თანაბარი უფლების უზრუნველყოფას და დასაქმება - თვითდასაქმების ხელშეწყობას, შშმ პირების ინდივიდუალურ მონაცემთა ბაზის შექმნას, განვითარებასა და სრულყოფას.

ამ ყველაფრის განხორციელებისთვის კი სხვადასხვა ღონისძიების გატარება 2016 წლის ჩათვლით არის დაგეგმილი.



ბაკურიანში ყინულის ფესტივალზე ვეტერანების მიერ შექმნილი ქანდაკებები იყო წარმოდგენილი

ყინულის ქანდაკებების ფესტივალის თექვსმეტწლიანი ტრადიცია წელს ვეტერანებმა გააგრძელეს, და საზოგადოებას „მშვიდობის“ თემაზე შექმნილი ნამუშევრები წარუდგინეს. ფესტივალი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით ბაკურიანში ჩატარდა და მიზნად ისახავს საზოგადოებაში ვეტერანების შესახებ ცნობიერების ამღლებას და მომავალი თაობისთვის ვეტერანების საქმიანობის გაცნობას. ფესტივალი 6 იანვარს გაიხსნა და 13 იანვარს კონცერტითა და სხვადასხვა გასართობი ღონისძიებებით დასრულდა. კონცერტზე პატრიოტული თემატიკის სიმღერები შეასრულეს ანს ამბლმა „ქართველები“ და ჯგუფმა „ბანი“. წლევანდელ ფესტივალზე გამარჯვებული არ გამოვლინდა, მონაწილეებს პრიზები და სიგელები ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა ირაკლი შიხიაშვილმა გადასცა.

„მნიშვნელოვანია და სიმბოლურია ის, რომ ქვეყნის ტეროტორიული მთლიანობისთვის მებრძოლები ქმნიან ქანდაკებებს მშვიდობის თემაზე. საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები - ვეტერანები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან სამშობლო საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვან, ასევე არიან ბრწყინვალე ხელოვანები: მხატვრები, ფერწერები, მოქანდაკეები.“ - განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა.

შიხიაშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ მომავალმა თაობამ უკეთესად გაიცნოს ვეტერანები, იცნობდნენ მათ, როგორც შემომქმედს, წარმატებულსა და სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს. მისი თქმით ვეტერანი ახალგაზრდა თაობისთვის ყოველთვის უნდა იყოს უშრეტი ენერგიის ძალა იმისთვის, რომ მათ მუდმივად იბრძოლონ საკუთარი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის.

ცერემონიის გახსნისას აღინიშნა, რომ ვეტერანები ისეთივე მონდომებით მუშაობდნენ ყინულის ქანდაკებებზე, როგორც იცავდნენ ქვეყანას და ზრუნავდნენ მშვიდობაზე.

„მშვიდობა“ იყო აღნიშნული ფესტივალის მთავარი სლოგანი, რომელმაც ბაკურიანში შეკრებილი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ღონისძიებას ესწრებოდნენ, როგორც ბავშვები და ახალგაზრდები ისე უფროსი თაობის წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოებას სამღვდელოების წარმომადგენელმაც მიმართა: „ვულოცავ ჩვენს ვეტერანებს ფესტივალის წარმატებით დასრულებას, მათ ყველაზე კარგად იციან მშვიდობის ფასი. იარაღის ჭერის გარდა, ქართველ მეომარს შეუძლია ასეთი სილამაზე შექმნას.”

მართალია ყინულის ქანდაკებების გაკეთება ადვილი არ იყო, მაგრამ ვეტერანებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ თავისი ნაშროებით ადამიანების გულები გაეთბოთ და მათთვის საახალწლო განწყობა აემაღლებინათ.

გაეროს განვითარების პროგრამა 50 წლის იუბილეს ზეიმობს

2016 წელს, გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) დაარსებიდან 50 წელი უსრულდება.

გაეროს განვითარების პროგრამა 1966 წელს შეიქმნა ორი წინამორბედი პროგრამის შერევისგან: ტექნიკური დახმარების გაფართოებული პროგრამა და გაეროს სპეციალური ფონდი.

დღეს, ორმოცდაათი წლის შემდეგ, გაეროს განვითარების პროგრამა ისეთი აქტუალურია, როგორც არასდროს: უძღვება გაეროს განვითარების სისტემას 170 ქვეყანასა და ტერიტორიულ ერთეულზე, აკავშირებს ქვეყნებს ცოდნის, გამოცდილების და რესურსების გაზიარების მიზნით, რათა დაეხმაროს ადამიანებს გაიუმჯობესონ ცხოვრება.

ამ დღის აღსანიშნავად, გაეროს განვითარების პროგრამა 24 თებერვალს მასპინძლობს მინისტრთა შეხვედრას ნიუ-იორკში. მინისტრები გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოებიდან არიან მიწვეულნი.

მინისტერიალზე განხილული იქნება პროგრამის მიღწევები და რა თქმა უნდა დაისახება სქემა, თუ როგორ უნდა მოხდეს გლობალური განვითარება ამ პროგრამის დახმარებით მომავალში.

მონაწილე მინისტრები გაუზიარებენ საკუთარ ხედვას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს UNDP-მ, მომავალ ათწლეულებში. აღნიშნული შეხვედრა ხელს შეუწყობს ქვეყნების ძალისხმევას, რომ მიაღწიონ მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs).

შეხვედრაზე მინისტრებს ექნებათ სპეციალური პლატფორმა რომ გაუზიარონ საკუთარი ხედვა 2030 წლის სტრატეგიის განხორციელებაზე. ისინი ასევე გაუზიარებენ საკუთარ შეხედულებებს UNDP- ის როლზე, როგორც პარტნიორი ორგანიზაციის ქვეყანაში მდგრადი განვითარების მისაღწევად.

მინისტრები ჩაერთვებიან მაღალი დონის დებატებში, თუ როგორ უნდა მოხდეს ამბიციური გლობალური ვალდებულებების ამოქმედება და მოსალოდნელი შედეგები. დღის წესრიგში ასევე შევა პლენარულ და მცირე თემატური სესიები შემდეგ საკითხებზე: სიღარიბის აღმოფხვრა; პლანეტის დაცვა და მდგრადი განვითარება; ძალადობის აღმოფხვრა და მშვიდობის დამყარება; რისკების მართვა და სამშენებლო მდგრადობა.

ღონისძიება სავარაუდოდ წარმოქმნის საერთო გაგება დიდი გამოწვევების შესახებ და გაჩნდება შესაძლებლობები მათი განხორციელებისთვის. გაეროს განვითარების პროგრამა გამოაქვეყნებს დასკვნებს და რეკომენდაციებს, ასევე უხელმძღვანელებს დისკუსიებს და მათ დანერგვას მუშაობაში. თითოეული სახელმწიფო თავად გადაწყვეტს, რომელ მინისტრებს გაგზავნის მინისტერიალზე, თუმცა გაეროს მხრიდან მიწვეულია, საგარეო საქმეთა, დაგეგმვის, განვითარებათა და ფინანსთა მინისტრები.

ღონისძიებას უმასპინძლებს გაეროს განვითარების პროგრა-მის ადმინისტრატორი და სავარაუდოდ გაეროს გენერალური მდივანიც მიიღებს მონაწილეობას.

UNDP

50 YEARS

Empowered lives. Resilient nations.

DRC
დავების განმხილველი ცენტრი
DISPUTE RESOLUTION CENTER

DRC - the best Arbitration in Georgia

საქართველო, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.71, 1 სართული. ტელ: 2 207 327
Georgia, Tbilisi, Vaja Pshavela ave. 71, 1 Floor. Tel: 2 207 327

www.drc-arbitration.ge

ნინო ანანიაშვილი დასთან ერთად უფრო ოთხი ბალეტის დადგმას გეგმავს

ნინი მაჭავარიანი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 30 იანვარს საზეიმოდ ზაქარია ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“ გაიხსნება. პირველი საბალეტო სპექტაკლი კი 12 თებერვალს, დავით თორაძის „გორდა“ დაიდგმევა.

მარტში დასი „გედების ტბის“ პრემიერას შეასრულებს. იგეგმება ფოკინის საღამოსა და სხვა თანამედროვე სპექტაკლების პრემიერები. მთელი წლის საკონცერტო და საგასტროლო პროგრამა უკვე გაწერილია, რომელიც სპექტაკლ „ჟიზელით“ დაიხურება. როგორც ჩანს, ეს სეზონი ძალიან დატვირთული და საინტერესო იქნება.

ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელი, ნინო ანანიაშვილი „ობზერვერთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ დასისთვის მნიშვნელოვანი სპექტაკლები უნდა დაიდგას. თუმცა ისეთი რთული სპექტაკლების დადგმის სურვილიც აქვს, როგორიც მაგალითად, მაკმილანის „მანონია“.

„დასი მომმლავრებულია, ძალიან ბევრი კარგი ახალგაზრდა ბალერინა მყავს. სწორედ ამიტომ მგონია, რომ უკვე ისეთი რთული ბალეტის დადგმასაც შევძლებთ როგორიცაა „რაიმონდა“ და „მძინარე მზეთუნახავი“. მიმაჩნია, რომ დასი მზადაა ამ სირთულეს თავი გაართვას. რაც შეეხება ბალერონებს, ქართველი მოცეკვავეებიც გვყავს, თუმცა სოლო ნომრების შესასრულებლად უცხოელი მოცეკვავეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან. დასი ინტერნაციონალური გახდა“,- აღნიშნა ანანიაშვილმა.

სეზონის მთავარი სიახლე განახალებული დარბაზია, რომელსაც სერგო ქობულაძის ფარდის ესკიზი ამშვენებს. შენობის ისტორიული მხარე და ინტერიერი შენარჩუნებული და მოპირკეთებულია. ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო კი თეატრის სცენაა, რომელიც ახალი და თანამედროვე შესაძლებლობებითაა აღჭურვილი. სცენა კომპიუტერით იმართება და ხმისა და განათების უნიკალური სისტემა აქვს. განახლებული მოწყობილობა საშუალებას იძლევა: სწრაფად შეიცვალოს დეკორაცია, სცენა ორ სართულიან ნაგებობად იქცეს, აუცილებლობის შემთხვევაში დაიხუროს და ა.შ საორკესტრო ადგილი გადიდებული და მოპირკეთებულია უმაღლესი ხარისხის ხით. გამართულია დარბაზის აკუსტიკა.

„როდესაც თბილისში გასტროლებით ჩამოვდიოდი, არ მახსოვს ერთი შემთხვევა, რომ მეცეკვა და ფეხი არ მტკენოდა ისეთი საშინელი იატაკი იყო. თუმცა შემდეგ ალექსანდრე ლომიძემ სპეციალურად ოპერის თეატრისთვის ძალიან კარგი იატაკი შეუკვეთა, რომლის მსგავსიც პოსტ-საბჭოთა სივრცეში არავის ჰქონდა,“ - იხსენებს ნინო ანანიაშვილი.

მისი თქმით დღეს ყველაზე გულდასაწყვეტია, რომ დასს სამუშაო სახელოსნოები არ აქვს. „ეს პრობლემა სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს, რადგან ამის გარეშე თეატრს გაუჭირდება არსებობა“,- აღნიშნა პრიმა-ბალერინამ.

გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ბალერონების ნაკლებობა, რადგან ეს პროფესია ძალიან რთულია და მას დიდი ძალისხმევა სჭირდება. თან ახლავს მუშაობის პროცესის თანმდევი სტრესი, ტკივილი, ახალი საზღვრების გადალახვის აუცილებლობა.

ამ ნაკლებობას კი ქართული მენტალიტეტიც განაპირობებს. მართალია, ვახტანგ ჭაბუკიანის წარმატებამ ეს დამოკიდებულება შეცვალა, თუმცა მამრობითი სქესის ბალერონობა ქართულ რეალობაში მაინც პრობლემატურია.

რაც შეეხება დასის ხელმძღვანელს, მისთვის ეს წელი განსაკუთრებული სიახლით დაიწყო. ნინო ანანიაშვილი ბრიტანულმა გაზეთმა „ტელეგრაფმა“ მსოფლიოს ყველა დროის თორმეტ საუკეთესო ბალერინას შორის დაასახელა, რასაც თითოეული ქართველი სიხარულით და სიამაყით შეხვდა.

ნინო ანანიაშვილის სამუშაო გრაფიკი ძალიან დატვირთულია. დილიდანვე დასთან ერთად ვარჯიშობს, შემდეგ მოლაპარაკებებს აწარმოებს, თეატრის გახსნასთან დაკავშირებულ ბევრ საორგანიზაციო საკითხს აგვარებს, სამსახურს საღამოს 8 საათზე ამთავრებს, რის შემდეგაც დროს შვილს უთმობს. ყოველდღიურად 1:30 საათი ვარჯიშობს, სპექტაკლების დადგმის პერიოდში სცენაზე ყოფნა კი 4-5 საათსაც უწევს.

ქართველ პრიმა-ბალერინას ძალიან ბევრი საინტერესო და საყვარელი ცხოვრებისეული ფრაზა აქვს. მას მიაჩნია, რომ ყველაფერი ის, რაც მერფის კანონში წერია დღევანდელობასაც ძალიან უხდება. მერფის მიხედვით, ნიჭიერი ადამიანი ყოველთვის მუშაობს საკუთარ თავზე ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და საკუთარი მიღწევების გასაუმჯობესებლად.

„ბევრჯერ შევჯახებივარ იმ მოსაზრებას, რომ თუ ადამიანი წარმატებულია და გენიალური ხელოვანია, ის აუცილებლად ცუდი პიროვნებაა. მთელი ჩემი ცხოვრება ვეწინააღმდეგები ამ აზრს. რატომღაც ეს დებულება დაიბადა, მაგრამ მე პირიქით ვცდილობ დავამტკიცო, რომ პატიოსან, ზრდილობიან და მშვიდ ადამიანსაც შეუძლია წარმატების მიღწევა. თუ ნიჭიერი ადამიანი ხარ, გამოჩნდება პიროვნება, რომელიც გეძებდა და ამას ნაცნობობა არ სჭირდება. არსებობენ ადამიანები, რომლებიც მართლა ეძებენ ნიჭიერებას, ამის უნდა გვჯეროდეს“, - ამბობს ანანიაშვილი.

პირველი სპექტაკლი, რომელშიც ანანიაშვილს გარდასახვა დასჭირდა „ჟიზელი“ იყო. მაშინ ნერვიულობდა, რადგან სხვა მსახიობების მიერ შესრულებული ეს როლი უკვე ნანახი ჰქონდა. ჟიზელი დიდი თეატრის სცენაზე შეასრულა სანამ საფრანგეთში გასტროლებზე წავიდოდა. როგორც ბალერინამ თქვა, უეცარი გარდასახვა მოხდა, ნერვიულობა გაქრა და ყველაფერმა ძალიან კარგად ჩიარა. საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ მისმა პედაგოგმა ლარისა სტრუჩკოვამ უთხრა: „გენერალურ რეპეტიციაზე, როგორც კი დაიწყე ცეკვა მე მივხვდი, რომ შენ ამ სირთულეს შესანიშნავად გაართმევდი თავს“.

„პირველად „ჟიზელის“ სპექტაკლი ვნახე თბილისში ვერა წიგნაძის შესრულებით. ვტიროდი, მეგონა, რომ მართლა მოკვდა ჟიზელი და მახსოვს კლასელის დეიდამ მითხრა, რომ მეორე აქტშიც იცეკვებდა. ჟიზელის სპექტაკლის მოსამზადებლად სულ სამი კვირა მქონდა, მანამდე კი მირტას მეორეხარისხოვანი როლი შევასრულე. მირტა გმირული პერსონაჟია, ხოლო ჟიზელი რომანტიული“, - იხსენებს ანანიაშვილი.

საბალეტო დასის ხელმძღვანელი ერთმოქმედებიანი სპექტაკლების დადგმასაც გეგმავს, რომელშიც შესაძლოა თავად მიიღოს მონაწილეობა და ის თავის პედაგოგს რაისა სტრუჩკოვას მიუძღვნას.

მთელი ცოდნა, რაც ბალერინამ თავისი პედაგოგისგან მიიღო ცდილობს, თავის დასს გადასცეს. მიაჩნია, რომ სცენაზე იმდენად ბუნებრივი უნდა იყო, რომ მაყურებელმა დაიჯეროს ყველაფერი, რასაც თამაშობ. ბალერინამ „ობზერვერთან“ საუბარში აღნიშნა, რომ ყოველთვის უნდოდა კომედიურ სპეტაკლში თამაში, თუმცა ისე მოხდა, რომ მუდმივად დრამატულ სპექტაკლებში მონაწილეობს.

„ალბათ ძალიან ცოტა ბალეტია ცხოვრებაში რომლისგანაც სიამოვნებას იღებ, ძირითადად სულ სამუშაო პროცესში ხარ. განსაკუთრებით რამდენიმე სპექტაკლი დამამახსოვრდა და ეს შინაგანი განწყობაც ალბათ ჩემი ცხოვრებიდან ჩემთან ერთად წავა“,- აცხადებს ბალერინა.

ნინო ანანიაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ განახლებულ ოპერისა და ბალეტის თეატრს ახლა უფრო მეტი მაყურებელი ეწვევა, რომელთაც ძალიან ბევრი სიახლე და საინტერესო სპექტაკლები ელით.





ირაკლი ჩიქოვანი ჯაზის თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრების პერსონალურ გამოფენას მართავს

ნინი მაჭავარიანი

თანამედროვე ხელოვნების გალერეა „Sfumato Gallery“ მასპინძლობს ახალგაზრდა ქართველი მხატვრის ირაკლი ჩიქოვანის პერსონალურ გამოფენას - „Inversia“.

დამთვალიერებელს საშუალება აქვს ექსპოზიციაზე იხილოს მხატვრის ბოლო პერიოდში შექმნილი ნამუშევრები, რომელიც ამ საგამოფენო სივრცისთვის შეიქმნა. გამოფენა გაიხსნა 10 იანვარს და 20 იანვრამდე გაგრძელდება.

გამოფენაზე წარდგენილი ნამუშევრები ჯაზის თემატიკაზეა, დაახლოებით თხუთმეტი ფერწერული ნამუშევარი და სხვადასხვა მცირე ზომის ტილოები მხატვრის შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. ნამუშევრების უმეტესი ნაწილი 2015 წელს ხოლო დანარჩენი ნახატები გასული ორი წლის მანძილზეა შექმნილი.

„ხატვა შვიდი წლის ასაკში დავიწ0ყე. სკოლაში ხატვის მასწავლებლმა მომაქცია ყურადღება, ფაქტობრვად მან აღმოაჩინა, რომ ხატვის ნიჭი მქონდა. მითხრა, რომ ამ საქმისთვის ხელი სერიოზულად უნდა მომეკიდა, შემდეგ ის გაესაუბრა ჩემს მშობლებს და დედ-მამამ გადაწყვიტეს მივეყვანე ხატვაზე. ოთხი წელიწადი ვსწავლობდი სამხატვრო სკოლაში“, - აღნიშნა ირაკლი ჩიქოვანმა „ობზერვერთან“ ინტერვიუში.

მის შემოქმედებაში იყო დრო როდესაც აბსტრაქციაში ხატავდა. დროთა განმავლობაში ფიგურულ კომპოზიციებზე გადავიდა. ერთ სტილში და სწორხაზოვანი მიმართულებით მუშაობა არ უყვარს, რადგან მიაჩნია, რომ ამით ხელოვანი შეიძლება ჩიხში შევიდეს. მისი აზრით მთავარი და აუცილებელი კრიტერიუმი მხატვრისთვის ინდივიდუალობაა, რომელშიც შეიძლება შერწყმული იყოს იმპრესიონიზმის, კუბიზმის და ბევრი სხვა ძველი და კლასიკური სტილის ელემენტები., მაგრამ 21-ე საუკუნეში მხატვრობამ სრულიად განსხვავებული და ინდივიდუალური სტილი უნდა შექმნას.

ირაკლის უმუშავია ორ და სამ მხატვართან ერთად, თუმცა როგორც აღნიშნა მარტო მუშაობა ურჩევნია. მუშაობის პროცესში აუცილებლად რაღაცის მოსმენა უყვარს: მუსიკის, საინტერესო ლექციის ან აუდიო წიგნის.

„საერთოდ ძალიან მიყვარს ჯაზი და ყველფერი, რაც მასთანაა დაკავშირებული. ხშირად ვათვალიერებდი ჯაზმენების შავ-თეთრს ფოტოებს, ჯაზზე ბევრი ფილმი მაქვს ნანახი. შავ-თეთრი ნამუშევრები ცოტას აქვს გაკეთებული - მითუმეტეს საქართველოში, ფერადი ჯაზით კი ვეღარავის გააკვირვებ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ეს მე გამეკეთებინა“, - აღნიშნავს მხატვარი.

ჯაზის თემატიკაზე მუშაობისას მისთვის აუცილებელი არ არის, რომ ჯაზს უსმენდეს, რადგან მისთვის მთავარი მხოლოდ მის წარმოსახვაში შექმნილი სურათია, რომლითაც ხელმძღვანელობს შემდგომ.

აღსანიშნავია, რომ მუშაობის პროცესში ქმნის იმას, რაც დაგეგმილი არც ჰქონია. იდეა საიდან და როგორ იბადება ამაზე პასუხი არ აქვს. სანამ ნახატს არ დაასრულებს თავადაც არ შეუძლია განსაზღვროს რა გამოვა.

ყველა ნახატი გამორჩეულად უყვარს, თითოეული მათგანი სხვადასხვა ემოციას აღუძრავს. ხშირ შემთხვევაში მუშობის პროცესში უფრო დიდ სიამოვნებას ღებულობს, ვიდრე ვთქვათ დასრულებული შედეგრისგან. ირაკლი იხსენებს: „ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც სურათის დამთავრება ერთ დღეს ვერ მოვასწარი და მეორე დღეს, როდესაც მივუბრუნდი ნამუშევარს მივხვდი, რომ ის უკვე დასრულებულია და არაფრის დამატებას აღარ საჭიროებდა.“

არსებობენ მხატვრები, რომელთაც რაღაცის თქმა სურთ, მაგრამ მისთვის მხატვრობა პოეზიისა და ლიტერატურისგან გამიჯნულია. მწერლობას რაღაცის თქმის საშუალებად მიიჩნევს, იმიტომ, რომ ეს არის მკითხველთან უშუალო საუბარი. მხატვრობაში კი ყველაფერი სხვაგვარად ეჩვენება, აქ ემოცია ფერთა გამით უნდა იყოს გამოხატული.

ერთი გამორჩეული მხატვარი არ ჰყავს, რადგან ამ სიაში ძალიან ბევრი ჰყავს შეყვანილი. თუმცა დროსთან ერთად გემოვნებაც ეცვლება და ამ სიას ხან ვინ ემატება და ხან ვინ აკლდება. ხანდახან სტილით და ჟანრით რადიკალურად განსხვავებული მხატვრებიც კი მოსწონს. მხატვრების დათვალიერებისას ზედაპირულად არასდროს აკვირდება შედევრებს, ცდილობს დაინახოს პირველადი დედა აზრი და ჩასწვდეს მის ჭეშმარიტებას.

პირველი გამოფენა 2004 წელს ჰქონდა და მას შემდგომ არ გაჩერებულა. „INVERSIA“ - მხატვრის, რიგით მესამე პერსონალური გამოფენაა. ძირითადად საკუთარი გამოფენის ორგანიზატორი თვითონ არის.

2015 წლის 30 აპრილს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მსოფლიო ჯაზის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით რუსთაველის თეატრი მასპინძლობდა ჯაზმენ რონი კარტერს, სწორედ ამ დროს ფოიეში ირაკლის ნახატების დახურული გამოფენა ჩატარდა.

სამომავლოდ ახალი გეგმა აქვს დასახული, განახლებული იდეით შემოგვთავაზებს შემდეგ გამოფენას. ირაკლის მიაჩნია, რომ მხატვარმა გამოფენიდან გამოფენამდე თემატურობა უნდა შეცვალოს, ამისთვის კი გარკვეული დრო დასჭირდება.

მისი სამივე პერსონალური გამოფენა თემატურად ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია.

მხატვარი დიდ მადლობას უხდის ყველა დამთვალიერებელს და სამომავლოდ კიდევ უფრო საინტერესო გამოფენას ჰპირდება.

საქართველოს განათლების სისტემა 2016 წელს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებით ხვდება

საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის დეკემბერში მიღებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს გადაჭრას უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში დღეისათვის არსებული მრავალი პრობლემა და საფუძველი ჩაუყაროს ფუნდამენტურ ცვლილებებს.

საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება განპირობებულია შემდეგი საჭირობებით: წლების განმავლობაში განსაზღვრული არ იყო მეცნიერთა სტატუსი, მათი უფლება-მოვალეობები, ისინი ვერ მონაწილეობდნენ უნივერსიტეტების მართვასა და სასწავლო პროცესში და შეზღუდული იყო მკვლევართა მონაწილეობა თვით მომავალი მეცნიერების აღზრდის პროცესში.

საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციის შედეგად მოხდება:სამეცნიერო-კვლევითიერთეულების იურიდიული სტატუსის განსაზღვრა, საკანონმდებლო დონეზე კვლევითი დაწესებულებების სტრუქტურისა და ფუნქციონირების მექანიზმის მოწესრიგება, უნივერსიტეტებში მეცნიერთა სტატუსის აღდგენა, სწავლებასა და კვლევას შორის კავშირის აღდგენა და სწავლების პროცესში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შეფასების სისტემის ამოქმედება.

აღსანიშნავია, რომ ერთობლივი აკადემიური ხარისხის ცნების შემოტანა და უნივერსიტეტის დეფინიციის დაზუსტება ხელს შეუწყობს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ჰარმონიზაციას ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.

საკანონმდებლო ცვლილებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პედაგოგიური განათლების სისტემის რეფორმას, რაც უზრუნველყოფს ზოგადსაგამანათლებლო სკოლებისთვის ახალი, თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლების მომზადებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ კანონით გათვალისწინებული ცვლილებების იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმაზე 13 იანვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მოქმედ რექტორთა საბჭოს წევრებთან ერთად იმსჯელა. სამოქმედო გეგმის განხორციელება მოხდება უნივერსიტეტების, მათში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების აქტიური ჩართულობით.

შეხვედრაზე განისაზღვრა ამა თუ იმ აქტივობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები, პირები და შესაბამისი ვადები.

გამომდინარე იქიდან, რომ საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულება მოითხოვს უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების აქტიურ მონაწილეობას და მთელი რიგი ცვლილებების განხორციელებას, რექტორთა საბჭოზე ასევე განიხილეს რამდენიმე ფართომასშტაბიანი კონფერენციის ჩატარების საკითხი, სადაც მოხდება კონკრეტულ აქტივობასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და პრაქტიკული საკითხების განხილვა და ჩამოყალიბდება ყველა მხარისთვის მისაღები საერთო მიდგომები.

უმაღლეს სასწავლებლებში შესაძლოა მაღე ანტი-პლაგიატის ჰოობჰამ დაინეიბოს

„ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია“, ეს გამონათქვამი ყველაზე მეტად ამართლებს, როცა საქმე უნივერსიტეტებში ე.წ. რეფერატების მომზადებას ეხება. მართალია ყველა სტუდენტი ამ ხერხს არ მიმართავს, თუმცა ბევრისთვის კურსდამთავრებულთა ნამუშევრების „copy-paste“-ით გადმოტანა (ანუ საკუთარ ნამუშევრად გასაღება) ჩვეულებრივი მოვლენაა. გადაწერა ხდება წიგნებიდან, უცხოური აკადემიური წყაროებიდან, სხვადასხვა საიტებიდან და ეს ყველაფერი წყაროს მითითების გარეშე. ბუნებრივია, აღნიშნულზე კონტროლის დაწესება აკადემიურ პერსონალსაც უჭირს გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტების და მათ მიერ შესრულებული დავალებების რიცხვი საკმაოდ დიდია.

შესაბამისად სისტემა, რომელზეც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოლაპარაკებების გამართვა დაიწყო, მნიშვნელოვნად აღმოფხვრის ამ პრობლემას და გააუმჯობესებს სტუდენტთა აკადემიურ ხარისხს.

საკუთარი პროდუქციის გაცნობის მიზნით, 15 იანვარს საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ პოლონური კომპანიის *Plagiat.pl* წარმომადგენლები. აღნიშნული კომპანია არის ანტი-პლაგიატის პროგრამული უზრუნველყოფის ლიდერი პოლონეთისა და რუმინეთის ბაზარზე. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი სებასტიან კავჩინსკი და დელეგაციის სხვა წევრები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს გიორგი შარვაშიძეს შეხვდნენ და თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს.

პოლონური კომპანიის მომსახურებით 230-ზე მეტი უნივერსიტეტი სარგებლობს მსოფლიოში. პლაგიატი წარმოადგენს გლობალურ პრობლემას და საფრთხეს უქმნის განათლების ხარისხს, შესაბამისად, კომპანიის მისიაა დაიცვას განათლების უმაღლესი სტანდარტები და ხელი შეუშალოს პლაგიატს სტუდენტებსა და დოქტორანტებს შორის. *Plagiat.pl*-ის წარმომადგენლები არიან სწორედ იმ საკონსულტაციო ორგანოს წევრები, რომელმაც შექმნა კანონი ყველა სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების სავალდებულო ვერიფიკაციაზე.

ქართული აკადემიური სივრციდან პლაგიატის აღმოსაფხვრელად და განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, სამინისტროს ხელმძღვანელობა მზადაა გაეცნოს და გაიზიაროს სხვა ქვეყნების წარმატებული გამოცდილება. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამა საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მის დანერგვასთან ერთად უმაღლესი განათლების სფეროში სხვა ტიპის ცვლილებების განხორციელების საჭიროებაც დადგება.

რა თქმა უნდა მისასალმებელია, განათლების სამინისტროს დაინტერესება ამ საკითხით, თუმცა უფრო მეტი მონდომება უნდა გამოიჩინონ ამ საკითხით დაინტერესებულმა პირებმა, რომ პრობლემა დროულად აღმოიფხვრას და საქართველოში ანტიპლაგიატის სისტემა რაც შეიძლება მალე დაინერგოს.

რადგან აღნიშნული პროექტი არამხოლოდ სტუდენტების განათლების დონის ამაღლებას ემსახურება, არამედ უმაღლესი სასწავლებლების განვითარებასა და საერთაშორისო რანგის მკვლევარების აღზრდას.

airBaltic

RIGA - TBILISI	BT 722 5,7 RIX TBS	23:05	04:35 +1	735	03:30	
TBILISI - RIGA	BT 723 1,6 TBS RIX	05:20	06:55	735	03:55	

airBaltic flights from Tbilisi via Riga to Oslo, Helsinki, Copenhagen, Amsterdam, London, Milan, Paris, Berlin, Munich, Vilnius, Tallinn and Warsaw have minimum connection time 25-30 minutes in Riga airport

მეოთხე ორმაგი დუბლი სეზონში და საიუბილეო მეასე NBA-ს კარიერაში

ვაკო ყიფიანი

ორშაბათს NBA-ის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის კალათბურთელთა შესარჩევი ხმის მიცემა დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება. ქართველები ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ზაზა „ოლ სტარზე“ მოხვდეს. თუმცა ინფორმაციის ნაკლებობის გამო, გულშემატკივართა ნაწილმა არასწორად ჩაწერა კოდი, ნაწილმა კი ერთი ანგარიშიდან რამდენჯერმა მისცა ხმა, რის გამოც ავტომატურად განულდა და ბოლო დღეების აქტიურობა არ აისახა საბოლოო რეიტინგზე.

14 იანვარს ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ კიდევ ერთხელ გამოაქვეყნა NBA All Star-ის შუალედური შედეგები. ახალი შედეგების მიხედვით, ზაზა ფაჩულია დასავლეთ კონფერენციაში ისევ მერვე ადგილზეა ფორვარდებს შორის. ზაზას 299 584 ხმა აქვს. შეგახსენებთ, რომ "ყველა ვარსკვლავის" მატჩში სასტარტო ხუთეულში სათამაშოდ საჭიროა ფორვარდთა სამეულში მოხვედრა. დასავლეთში ფორვარდთა სამეული ახლა ასეთია: 1. კობი ბრაიანტი - 1 533 432 ხმა ; 2. კევინ დურანტი - 774 782 ხმა; 3. დრეიმონდ გრინი - 499 947 ხმა. NBA-ს „ყველა ვარსკლავის“ მატჩი 14 თებერვალს, ტორონტოში გაიმართება, მაგრამ მანამდე ისევ ზაზას ბრწყინვალე თამაშზე მოგვიწევს საუბარი.

"დალას მავერიკსმა" დასანანი მარცხი განიცადა აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერთან გასვლით მატჩში. ზაზა ფაჩულიამ კლივლენდში სეზონის მე-20 ორმაგი დუბლი მოიხვეჭა და აშკარად დაჯაბნა საკუთარი ოპონენტი ცენტრები, თუმცა მისმა გუნდმა დამატებით დროში 3 ქულით - 107:110 წააგო.

აღსანიშნავია, რომ ფაჩულიამ NBA-ში კარიერის განმავლობაში რიგით მე-100 ორმაგი დუბლი გაიფორმა. ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე მთლიანობაში 32 წუთი გაატარა. ზაზა მაღალი შედეგიანობით ისროდა: 6-4 ორქულიანი და 6-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

14 ქულასთან ერთად ქართველმა ცენტრმა 12 მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა და 1 დაფარება მიითვალა. ფაჩულიამ აშკარად დაჯაბნა კლივლენდელი ცენტრი ტრისტან ტომპსონი, რომელმაც შეხვედრა 2 ქულითა და 6 მოხსნით დაასრულა. მასპინძელთა სათადარიგო ცენტრმა - რუსმა ტიმოფეი მოზგოვმა 10 ქულასა და 9 მოხსნას მოუყარა თავი. აღსანიშნავია ეპიზოდი, როდესაც ზაზა ფაჩულიამ ლებრონ ჯეიმსს დააფარა.

ზაზამ რამდენჯერმე მოხსნა მეტოქის ფარიდან ბურთი.

სპორტული სიახლეები

კალათბურთი

დუდა სანაძემ ამერიკის სტუდენტურლიგაში,,სანდიეგოსა'' და ,,პალოტსს'' შორის გამართულ შეხვედრაში 29 ქულა დააგროვა. ქართველმა უკანახაზელმა 9-დან 7 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

წყალბურთი

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა დაასრულა. ჩვენმა ნაკრებმა C-ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი იტალიის ნაკრებმა დაიკავა. ბოლო მატჩში სწორედ იტალიელებთან დავმარცხდით, ანგარიშით 21:1. ქართველთა მხრიდან ერთადერთი გოლი მიშა ბაღათურიამ გაიტანა.

რუმინეთი – 12:6 – საქართველო
გერმანია – 11:9 – საქართველო
საქართველო – 1:21 – იტალია

რაგბი

საქართველოს რაგბის კავშირის ნამდვილმა წევრმა, სარაგბო კლუბმა „ფირალებმა“ სრკ-ს პრეზიდენტობის კანდიდატად ილია ზედგინიძე წარადგინა. სრკ-ს საპრეზიდენტო არჩევნები 24 იანვარს 13 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართება. „ბორჯღალოსნების“ ყოფილი კაპიტანი ილია ზედგინიძე ეროვნულ ნაკრებში 13 წლის განმავლობაში თამაშობდა, მას 64 კეპი აქვს მოხვეჭილი. ამ ეტაპზე წარდგენილია ორი კანდიდატი: გოჩა სვანიძე და ილია ზედგინიძე.

ჩოგბურთი

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში წილისყრით ATP-ის რეიტინგის მესამეადგილოსანთან, შვეიცარიელ ჩოგბურთელ როჯერ ფედერერთან მოხვდა. შეხვედრა 18 იანვარს გაიმართება.

ფეხბურთი

გერმანიის II ბუნდესლიგის აუტსაიდერი "დუისბურგი" თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა. ჭანტურია, შესაძლოა, უკვე ზამთარში წავიდეს "დუისბურგიდან". საუბარია ჰოლანდიურ "ჰერაკლესში" გადასვლაზე. "ჰერაკლესი" ჰოლანდიის ჩემპიონატში 30 ქულით მე-4 ადგილზეა.

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

Managing Director: Nino Sharashidze
Nino.sharashidze@observer.com.ge

Chief Editor: Tamar Chapidze
editor@observer.com.ge

Subscription & Advertising: sales@observer.com.ge

15 Shio Mghvimeli Str.
0179, Tbilisi, Georgia
E: info@observer.com.ge
T: +995 557 68 36 53

ISTI FOTINTI

სავაჭრო & გასართობი ქალაქი

გართობის • დასვენების
შოპინგის
ქალაქი

10:00 - 22:00

eastpointtbilisi

16 333

www.eastpoint.ge